ხელშეკრულება
სახელმწიფოშესყიდვისშესახებ N02.07/30/ 101

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულებისდამდებიმხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) ვლადიმერ ჭიღლაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქოლორფულ სფირითს“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა კვარაცხელიას სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვისსაშუალება, ხელშეკრულებისღირებულებადახელშეკრულებისმოქმედებისვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: **ქალაქ თბილისში, ღონისძიებების უზრუნველსაყოფად სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით – შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) სახელმწიფო შესყიდვა.** ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მახასითებლების შესახებ, რაოდენობებისა და ერთეულის ღირებულებების მითითებით, მოცემულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი - 1 ფურცელი).

2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე), განცხადების ნომერი **NAT200005280.**

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 94441 (ოთხმოცდათოთხმეტიათას ოთხასორმოცდაერთი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი: 24613200- ფეიერვერკები.

2.5 ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 25 მარტიდან 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

3.1შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით – შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და ფოიერვერკების გაშვება) მიწოდების ვადა – ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, შემსყიდველის დავალების შესაბამისად.

3.2 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული დავალება უნდა შესრულდეს თითოეული დავალების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, ღონისძიების დატვირთვიდან გამომდინარე, ხოლო 2021 წლის საახალწლო ღონისძიებებისათვის სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის დავალების შესაბამისად, ღონისძიებების ფორმატიდან გამომდინარე.

3.3 შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით – შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) მიწოდების ადგილი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული ადგილ(ებ)ი.

3.4 ყოველი კონკრეტული დავალებისათვის შემსყიდველი მიმწოდებელს წერილობით, ელექტრონული ფოსტის ან სატელეფონო (მოკლეტექსტური) შეტყობინების სახით უგზავნის დავალებას, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია ღონისძიების ჩატარების ადგილის, მისაწოდებელი სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) სახეობის, რაოდენობისა და მოწოდების ვადის შესახებ.

3.5 მომსახურების გაწევა - ფოიერვერკების და სპეციფექტების (ეფექტების ნაირსახეობა) თანმიმდევრობა, გასაწევი მომსახურების ხანგრძლივობა, განხორციელდება შემსყიდველის მითითებით.

3.6 მიმწოდებელი ვალდებულია სპეციფექტებისა და ფოიერვერკების გაშვებისას იზრუნოს უსაფრთხოების ზომებზე. ამასთან, სპეციფექტებისა და ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და ფოიერვერკების გაშვება) მიწოდების შედეგად, მესამე პირისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმწოდებელს.

3.7 მიმწოდებელი ვალდებულია სპეციფექტებისა და ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და ფოიერვერკების გაშვება) მიწოდების შემდეგ დაასუფთავოს მიმდებარე ტერიტორია ფოიერვერკების ნარჩენებისაგან.

3.8 მიმწოდებელი ვალდებულია ფოიერვერკის გაშვების პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი წარმომადგენლები (ორი ადამიანი) აღჭურვოს ხმის დამხშობი ყურსასმენებით. ფოიერვერკის გაშვება უნდა განხორციელდეს პულტის მეშვეობით.

3.9 შემსყიდველის დავალების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია სპეციფექტებისა და ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით - შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და ფოიერვერკების გაშვება) მიწოდება განახორციელოს ერთდროულად არაუმეტეს სამ ლოკაციაზე, ხოლო „კონფეტის“ გაშვება - ერთდროულად არაუმეტეს 6 „კონფეტის აპარატით“.

3.10 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის დავალებით განსაზღვრული რაოდენობის დატენილი ლულების წარმოდგენა. დაუშვებელია ფოიერვერკების მსვლელობის პროცესში ლულების ჭურვებით ხელახალი გადატენვა.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებსვალდებულებას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და გამოცადონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული საქონლის შეცვლა.

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი) ან/და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებით.

6.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი).**

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის (თანმდევი მომსახურებით – შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ დაქვითულ იქნეს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 2021 წლის საახალწლო ღონისძიებასთან დაკავშირებით საჭირო სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების (თანმდევი მომსახურებით – შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) ღირებულება (მისაწოდებელი საქონლის (თანმდევი მომსახურებით – შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილას სპეციფექტებისა და მხატვრული ფოიერვერკების გაშვება) ღირებულების 100%-ის ოდენობით) ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი ანგარიშსწორების, საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. საავანსო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა შეადგენდეს მისი გაცემიდან 2021 წლის 15 თებერვლის ჩათვლით. მიმწოდებელმა ავანსის თანხები უნდა გამოიყენოს მხოლოდ ამ შესყიდვებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7.5 უპირობო, გამოუთხოვადი საავანსო საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
8.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირველივე დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ შემსყიდველი/მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობითგათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.

12.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.

12.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 - ემუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 13.2 პუნქტში მითითებული მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 598360030; საკონტ. პირი ბ-ნი ლაშა კვარაცხელია, ელექტრონული ფოსტა: colorfulspiritsentertainment@gmail.com.

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 577 98 74 09; საკონტ. პირი ქ-ნი თამარ ყიფიანი, ელექტრონული ფოსტა: t.kipiani@tbilisi.gov.ge.

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაოსაკითხებისგადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. სხვა პირობები

15.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

15.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“

შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

16. მხარეთაიურიდიულირეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მის: ქალაქი თბილისი,
ჟ. შარტავას ქ. N7
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა N GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 204521794

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (ადმინისტრაციის უფროსი)

ვ. ჭიღლაძე

მიმწოდებელი:

შპს „ქოლორფულ სფირითს“
მის: ქალაქი თბილისი,
ქობულეთის I შესახვევი, N12
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა N GE20BG0000000019405300
ს/კოდი: 405237685

შპს „ქოლორფულ სფირითს“-ის
დირექტორი

ლაშა კვარაცხელია

Lasha Kvaratskhelia
Digitally signed by Lasha Kvaratskhelia
Date: 2020.03.25 04:18:48 -07'00'

ფასების ცხრილი

დანართი N1

N	დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები (წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი კომპანია)	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია
1	ფოიერვერკის ჭურვი 2.5 დიუმი	600	7	4200	ჩინეთი	Enigma LTD
2	ფოიერვერკის ჭურვი 3 დიუმი (ჩვეულებრივი)	500	9	4500	ჩინეთი	Enigma LTD
3	ფოიერვერკის ჭურვი 4 დიუმი (ჩვეულებრივი)	400	14	5600	ჩინეთი	Enigma LTD
4	ფოიერვერკის ჭურვი 5 დიუმი (ჩვეულებრივი)	300	25	7500	ჩინეთი	Enigma LTD
5	ფოიერვერკის ჭურვი 6 დიუმი (ჩვეულებრივი)	250	45	11250	ჩინეთი	Enigma LTD
6	ფოიერვერკის ჭურვი 8 დიუმი	120	120	14400	ჩინეთი	Enigma LTD
7	ფოიერვერკის ნაღმი (mine) 1, 2 დიუმი	200	6	1200	ჩინეთი	Enigma LTD
8	ფოიერვერკის ნაღმი (mine) 2 დიუმი	150	9	1350	ჩინეთი	Enigma LTD
9	ფოიერვერკის ნაღმი (mine) 3 დიუმი (ჭურვი)	150	12	1800	ჩინეთი	Enigma LTD
	ბატარეა					
#	100 გასროლიანი მარაოს ტიპის 1.2 დიუმი	50	100	5000	ჩინეთი	Liuyang Fireworks
#	150 გასროლიანი 1.2 დიუმი	50	70	3500	ჩინეთი	Liuyang Fireworks
#	25 გასროლიანი 1.5 დიუმი	100	30	3000	ჩინეთი	Enigma LTD
#	100 გასროლიანი 1.2 დიუმი	100	68.91	6891	ჩინეთი	Enigma LTD
#	49 გასროლიანი მარაოს ტიპის 1.2 დიუმი	100	100	10000	ჩინეთი	Enigma LTD
#	49 გასროლიანი 1.2 დიუმი	45	50	2250	ჩინეთი	Enigma LTD
#	61 გასროლიანი 1.5 დიუმი	30	60	1800	ჩინეთი	Enigma LTD
#	36 გასროლიანი 1.2 დიუმი	120	40	4800	ჩინეთი	Enigma LTD
	სპეციფექტები					
#	კონფეტი	200	20	4000	საქართველო	შპს ქოლორფულ სფერითს
#	შადრევანი	200	7	1400	ჩინეთი	Enigma LTD
				ჯამი: 94441		

შენიშვნა:
სატენდერო წინადადების ფასში პრეტენდენტმა უნდა გაითვალისწინოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (ტრანსპორტირება და სხვა) და გადასახადი.
პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N1-ის შესაბამისად წარმოსადგენ ინფორმაციაზე სავალდებულოა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან კვალიფიციური
ელექტრონული შტამპის დასმა

პრეზიდენტის ხელმოწერა

Lasha Kvaratskhelia

Digitally signed by Lasha Kvaratskhelia
Date: 2020.03.19 09:18:12 -07'00'